



ელექტროენერგიის ბაზრის მიმოხილვა

ენერგეტიკა
ყოველთვიური მიმოხილვა
29 სექტემბერი, 2017

ელექტროენერგიის წმინდა იმპორტი 2017 წელს 1,007.4 გვტ.სთ-ს მიაღწევს. შედარებისთვის, 2016 წელს საქართველო ელექტროენერგიის წმინდა ექსპორტიორი იყო, თუმცა მხოლოდ 80.6 გვტ.სთ.-ით. 2017 წლის პირველი რვა თვის მონაცემებით, ელექტროენერგიის ექსპორტი წლიურად 22.6%-ით გაიზარდა და 684.7 გვტ.სთ. შეადგინა, ხოლო იმპორტი გაორმაგდა 962.3 გვტ.სთ.-მდე. განახლებული წლიური საპროგნოზო ბალანსის მიხედვით, ელექტროენერგიის ჯამური იმპორტი 2017 წელს ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწევს და 1,692.0 გვტ.სთ-ს (+253.3% წ/წ) გაუტოლდება, წმინდა იმპორტი კი 1,007.4 გვტ.სთ. იქნება.

თურქეთი კვლავ წამყვანი საექსპორტო ბაზარია. 2017 წლის პირველი რვა თვის განმავლობაში, თურქეთში ექსპორტი წლიურად 3.6%-ით შემცირდა, წინა წლის ამავე პერიოდის დაბალი ბაზიდან (-15.9% წ/წ) და ჯამური ექსპორტის 41.4% შეადგინა. კვების ძირითადი მიზეზი თურქეთის ბაზარზე საშუალო ფასების შემცირებაა. თურქეთის მიმართულებით უმსხვილესი ექსპორტიორები იყვნენ: 86.5 მგვტ.-იანი ფარავან ჰესის მფლობელი, საქართველო ურბან ენერჯი (42.5%); ივლისში ენერჯიდან შესყიდული ელექტროენერგიის ექსპორტიორი შპს "ენერჯი სოლუმენი" (25.6%) და 47.5 მგვტ.-იანი ხელვაჩაური ჰესის მფლობელი, აჭარ ენერჯი 2007 (14.9%). თურქეთის მიმართულებით 26.1 გვტ.სთ.-ის მოცულობის (ჯამურის 9.2%) ექსპორტი განახორციელა ესკომაც, აზერბაიჯანიდან 2012 წელს განხორციელებული იმპორტის სანაცვლოდ.

ელექტროენერგიის ექსპორტი სომხეთისა და რუსეთის მიმართულებით მნიშვნელოვნადაა გაზარდილი. 2017 წლის პირველი რვა თვის მონაცემებით, სომხეთის მიმართულებით ექსპორტი წლიურად 23.3%-ით გაიზარდა, წინა წლის საკმაოდ მაღალი ბაზიდან (+57.4% წ/წ) და ჯამური ექსპორტის 20.1% შეადგინა. სომხეთში ელექტროენერგიის ექსპორტი განახორციელეს საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულმა კორპორაციამ (44.0%) და ესკომ (56.0%). ესკომ ექსპორტი 2017 წლის თებერვალი-აპრილის პერიოდში სომხეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგიის სანაცვლოდ განახორციელა. რუსეთის მიმართულებით ექსპორტი გაიზარდა წლიურად 77.5%-ით და 2017 წლის პირველი რვა თვის ჯამური ექსპორტის 38.3% შეადგინა. ესკო ერთადერთი ექსპორტიორი იყო ამ მიმართულებით. რუსეთის მიმართულებით ექსპორტის ზრდის მიზეზია ივნისსა და ივლისში გენერაციის მოულოდნელი სიჭარბე და სხვა ბაზრების მოუქნელობა მოკლევადიანი გაფრთხილებით იმპორტის მისაღებად. ჯამურად, 2017 წლის პირველ რვა თვეში ექსპორტის ნახევარზე მეტი (53.6%) ესკომ განახორციელა.

თბოსადგურების ტარიფები შემცირდა 2017 წლის ბოლომდე. ყველაზე მაღალი ცვლილება (-25.4%) განიცადა ჯი-ფაურმა, კვტ.სთ.-ზე 10.537 თეთრამდე, ხოლო ყველაზე მცირედით მტკვარი ენერგიის ტარიფი შემცირდა (-6.9%) და კვტ.სთ.-ზე 11.358 თეთრი შეადგინა. სემეკმა შემცირების მიზეზად დაეგმილ და ფაქტიურ მონაცემებს შორის განსხვავება დაასახელა, ვალუტის კურსის ცვლილების ჩათვლით. დოლარში ფასის ცვლილება უმნიშვნელოა მტკვარი ენერგიისა და გარდაბნის თბოსადგურისთვის, ხოლო საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის (სსეკ) მფლობელობაში მყოფი მე-3 და მე-4 ბლოკისთვის ტარიფი დოლარში 13.6%-ით შემცირდა, ხოლო ლარში 23.0%-ით. უცვლელი დარჩა გარანტირებული სიმძლავრის საფასური, რომელსაც თბოსადგურები ოპერირებისა და რეზერვის რეჟიმში ყოფნის დღეების რაოდენობის შესაბამისად იღებენ.

წინა პაპავა

საინვესტიციო კვლევების დეპარტამენტის უფროსი | n.papava@gt.ge | +995 322 401 111 ext.4693

მარიამ ჩახვაშვილი


ანალიტიკოსი | mchakhvashvili@gt.ge | +995 322 401 111 ext.7897

ელექტროენერგიის ბაზრის მონაცემები

აგვისტოში საბალანსო ელექტროენერგიის ფასი საქართველოში*	4.7 აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე
აგვისტოში ელექტროენერგიის საბაზრო ფასი თურქეთში*	5.1 აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე
აგვისტოში ექსპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასი	4.5 აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე
აგვისტოში იმპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასი**	4.9 აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე
აგვისტოში გარანტირებული სიმძლავრის საფასური	0.6 აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე
შიდა მოხმარების ცვლილება 8თ17, კვტ.სთ	8.2%
ელექტროენერგიის ექსპორტის ცვლილება 8თ17, კვტ.სთ	22.6%
თურქეთში ექსპორტირებული ელექტროენერგიის ცვლილება 8თ17, კვტ.სთ	-3.6%


*საშუალო გაცვლითი კურსი აგვისტოში GEL/US\$ = 2.3971; TRY/US\$ = 3.5125

გრაფიკი 1: ელექტროენერგიის ექსპორტი, გვტ.სთ. და თურქეთის საშუალო საბაზრო ფასი, ცენტი/კვტ.სთ-ზე.



წყარო: ესკო

გრაფიკი 2: თბოსადგურების ტარიფები



წყარო: ესკო




ორგანიზაციამ, „მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის“, საქართველოს ენერგო უსაფრთხოება ხუთბაღიანი სისტემით 3.7-ად შეაფასა. კვლევითი ცენტრი „მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის“ სპეციალიზირებული ენერგო უსაფრთხოების, ეკონომიკური მდგრადობის და გარემოსდაცვითი საკითხებზე. კვლევა ჩატარდა MOSES მეთოდოლოგიით და მოიცავდა ყველა პირველადი ენერგეტიკული რესურსის (ბუნებრივი აირი, ნავთობპროდუქტები, ჰიდროელექტროენერგია, ნახშირი, ბიომასა და ა.შ.) უსაფრთხოების დონის შეფასებას იმპორტზე დამოკიდებულების, მდგრადობისა და სხვა რისკების გათვალისწინებით. ყველაზე მაღალი რისკის კატეგორია (E) მიენიჭა ბუნებრივი აირის სექტორს, იმპორტზე დამოკიდებულების მაღალი დონის (99.7% 2016 წელს) და სარეზერვო სიმძლავრის არარსებობის გამო. ყველაზე დაბალი რისკის კატეგორია (A) მიენიჭათ ჰიდროსადგურებს, მათი მიწოდების ცვლადობის, რისკების და მდგრადობის გათვალისწინებით.

ელექტროენერგიის გამომუშავება, მოხმარება და ექსპორტი

შიდა მოხმარება აგვისტოში წლიურად 14.4%-ით არის გაზრდილი. ზრდა ძირითადად განპირობებული იყო პირდაპირი მოხმარებლების წლიურად 66.0%-ით გაზრდილი მოხმარებით, რაც, თავის მხრივ, ჯორჯიან მანგანუმის ელექტროენერგიის მოხმარების ისტორიულ მაქსიმუმამდე გაორმაგებამ (+102.4% წ/წ, 114.9 გვტ.სთ.) გამოიწვია. შიდა მოხმარების ჯამურ ზრდაში ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა განახლებადი ლიცენზიანტების მოხმარების წლიურად 10.5%-იანმა ზრდამ: თელასის მოხმარება წლიურად 8.6%-ით, ენერგო-პროს 11.7%-ით, კახეთის ენერგოდისტრიბუციის კი 8.7%-ით გაიზარდა. აფხაზეთის რეგიონის მოხმარება აგვისტოში წლიურად 1.7%-ით გაიზარდა და ქვეყნის მოხმარების 11.2% შეადგინა.


ელექტროენერგიის ექსპორტი აგვისტოში წლიურად 15.9%-ით გაიზარდა და 31.6 გვტ.სთ-ს შეადგინა. 2017 წლის პირველი რვა თვის ჯამური ექსპორტი წლიურად 22.6%-ით არის გაზრდილი და 684.7 გვტ.სთ-ს გაუტოლდა. აგვისტოს თვეში სომხეთის მიმართულებით ექსპორტირებულმა ელექტროენერგიამ ჯამური ექსპორტის 63.9% შეადგინა. ამ მიმართულებით ერთადერთი ექსპორტიორი იყო ესკო, რომელმაც ექსპორტი 2017 წლის თებერვალი-აპრილის პერიოდში სომხეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგიის სანაცვლოდ განახორციელა. აგვისტოს თვის ელექტროენერგიის ექსპორტის დანარჩენი ნაწილი (35.8%) განხორციელდა თურქეთში (-58.4% წ/წ). აქაც, ექსპორტის უმსხვილესი წილი (96.4%) ესკოს ეჭირა, რომელმაც ექსპორტი აზერბაიჯანიდან 2012 წელს განხორციელებული იმპორტის სანაცვლოდ განახორციელა. თურქეთში ექსპორტის დანარჩენი ნაწილი შპს "ბახვი ჰაიდრო ფაუერ"-მა განახორციელა. ელექტროენერგიის ტრანზიტი აგვისტოს თვეში წლიურად 33.1%-ით შემცირდა და 92.8 გვტ.სთ. შეადგინა. აქედან 68.5%-ის ტრანზიტი განხორციელდა აზერბაიჯანიდან თურქეთში, ხოლო დანარჩენი რუსეთიდან სომხეთში. ამ მიმართულებებით ერთდროული ტრანზიტი პირველად 2016 წლის თებერვალში განხორციელდა და გაგრძელდება 2017 წლის სექტემბრამდე.

გრაფიკი 3: ელექტროენერგიის მოხმარება და ექსპორტი, გვტ.სთ.



წყარო: ესკო

გრაფიკი 4: განაწილების ლიცენზიანტების მოხმარება, გვტ.სთ.




წყარო: ესკო

ელექტროენერგიის იმპორტმა 2017 წლის აგვისტოს თვეში ჯამური მიწოდების 6.6% შეადგინა. ადგილობრივი გენერაცია გაიზარდა წლიურად 8.1%-ით, ხოლო ჰიდროგენერაცია 5.5%-ით (მთლიანი მიწოდების 85.2%). თბოსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობა წლიურად 31.3%-ით გაიზარდა (მთლიანი მიწოდების 7.5%), 2016 წლის დაბალი ბაზიდან (-33.9% წ/წ). ახალი ქარის ელექტროსადგურის გამომუშავების წილი მთლიან მიწოდებაში 0.8% იყო. აგვისტოს თვეში ქსელში მიწოდებული ელექტროენერგიის 2.3% გავიდა ექსპორტზე. დერეფულირებული სადგურების ჯამური წარმოება მნიშვნელოვნადაა გაზრდილი (+37.6% წ/წ), რაც ამ კატეგორიაში 2016 წლის ბოლოს დამატებული მსხვილი ჰიდროსადგურების (108.0 მგვტ. დარიალი და 47.5 მგვტ. ხელვაჩაური) ინტეგრირების შედეგია. აგვისტოს ბოლოს შუახვევი ჰესის (178.7 მგვტ.) ექსპლუატაციაში შესვლა კიდევ უფრო გაზრდის ამ კატეგორიის ზრდის მაჩვენებელს შემდეგ თვეებში. ენგურის და ვარდნილის წარმოება აგვისტოს თვეში წლიურად 7.1%-ით გაიზარდა და ქსელში მიწოდებული ელექტროენერგიის ნახევარზე მეტი შეადგინა (53.1%). ამავდროულად, დანარჩენი რეგულირებადი სადგურების წარმოება შემცირდა 7.1%-ით. ელექტროენერგიის იმპორტმა 72.9 გვტ.სთ.-ს მიაღწია, საიდანაც 68.9% განხორციელდა აზერბაიჯანიდან, ხოლო დანარჩენი რუსეთიდან. გარანტირებული სიმძლავრის საფასური შემცირდა 31.3% წ/წ და 0.6 აშშ ცენტი შეადგინა კვტ.სთ.-ზე. გარანტირებული სიმძლავრის საფასურის შემცირება განპირობებული იყო მტკვარი ენერგიის და მე-4 ბლოკის სარემონტო სამუშაოებით თითქმის მთელი თვის განმავლობაში.




გრაფიკი 5: ელექტროენერგიის გამომუშავება, იმპორტი და მოხმარება, გვტ.სთ.



წყარო: ესკო

გრაფიკი 6: ჰეს-ების გამომუშავება, გვტ.სთ.




წყარო: ესკო

ელექტროენერგიის ფასები საქართველოსა და თურქეთში


2017 წლის აგვისტოში ელექტროენერგიის საბალანსო ფასი საქართველოში წლიურად 9.0%-ით გაიზარდა და კვტ.სთ.-ზე 4.7 აშშ ცენტი შეადგინა. საბაზრო ფასი თურქეთში წლიურად 11.1%-ით შემცირდა და კვტ.სთ.-ზე 5.1 აშშ ცენტს გაუტოლდა. საბალანსო ბაზარზე ჯამური მიწოდებული ელექტროენერგიის 16.3% ივაჭრებოდა, დანარჩენი ვაჭრობა კი ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე მოხდა. ექსპორტის საშუალო ფასი აგვისტოში წლიურად 5.5%-ით შემცირდა, ხოლო ივლისის თვის საშუალო ექსპორტის ფასთან შედარებით (კვტ.სთ.-ზე 3.3 აშშ ცენტი) 36.2%-ით გაიზარდა. თვითური ზრდა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ აგვისტოში რუსეთში დაბალფასიანი ექსპორტის წილი თითქმის ნულამდე დავიდა, ივლისის თვეში 34.4%-იდან.

გრაფიკი 7: ელექტროენერგიის ფასები საქართველოსა და თურქეთში, აშშ ცენტი კვტ.სთ.-ზე



წყარო: ესკო, EPIAS

გრაფიკი 8: იმპორტირებული და ექსპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასები, აშშ ცენტი კვტ.სთ.-ზე



წყარო: ესკო, საქსტატი
შენიშვნა: იმპორტი იყო უმნიშვნელო



ცხრილი 1: ელექტროენერგიის ბალანსი (გვტ.სთ)

	სექ-16	ოქტ-16	ნოემ-16	დეკ-16	იან-17	თებ-17	მარ-17	აპრ-17	მაის-17	ივნ-17	ივლ-17	აგვ-17	2016	8თ17
შიდა მოხმარება	789	883	967	1,162	1,085	1,012	1,019	933	856	870	985	1,037	11,007	7,797
წლიური ზრდა	4%	13%	11%	14%	7%	13%	8%	8%	1%	3%	10%	14%	6%	8%
აფხაზეთის რეგიონი	110	142	196	254	252	234	205	171	132	102	113	119	1,927	1,329
წლიური ზრდა	17%	24%	10%	9%	7%	20%	7%	14%	8%	1%	3%	2%	7%	9%
კვალიფიციური საწარმოები	64	75	81	123	107	113	129	128	95	131	136	138	1,209	976
წლიური ზრდა	-13%	-2%	-4%	44%	18%	25%	12%	5%	-27%	6%	21%	66%	-1%	13%
სადისტრიბუციო კომპანიები	615	666	690	785	726	666	685	634	629	637	736	780	7,872	5,491
წლიური ზრდა	4%	13%	14%	13%	6%	9%	8%	7%	6%	3%	9%	10%	7%	13%
ენერგო-პრო ჯორჯია	375	405	407	455	413	381	410	390	393	399	463	484	4,740	3,332
წლიური ზრდა	-1%	8%	10%	8%	3%	10%	9%	6%	6%	4%	11%	12%	3%	8%
თელასი	213	231	253	297	281	256	246	216	209	211	240	261	2,789	1,920
წლიური ზრდა	17%	25%	22%	21%	11%	8%	8%	9%	7%	0%	5%	9%	15%	7%
კახეთის ენერგო დისტრიბუცია	28	30	30	33	32	28	29	27	27	28	33	35	343	239
წლიური ზრდა	2%	5%	6%	6%	8%	5%	7%	8%	6%	6%	14%	9%	2%	8%
ადგილობრივი გენერაცია	798	907	998	1,186	955	809	741	817	1,093	1,138	1,247	1,035	11,574	7,835
წლიური ზრდა	3%	14%	18%	27%	-1%	0%	-12%	-7%	2%	4%	18%	8%	7%	2%
ჰიდროსადგურები	640	653	642	682	564	362	544	722	1,085	1,128	1,234	944	9,329	6,582
წლიური ზრდა	26%	22%	17%	12%	-10%	-33%	-22%	-1%	1%	3%	16%	6%	10%	-2%
თბოსადგურები	159	254	354	497	385	442	188	86	0	1	5	83	2,235	1,190
წლიური ზრდა	-41%	-1%	19%	51%	14%	62%	26%	-40%	N/A	-76%	321%	31%	-6%	22%
ქარის სადგურები	-	-	2	7	7	6	9	9	8	9	7	8	9	63
წლიური ზრდა	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A
იმპორტი	24	17	13	33	179	250	311	147	2	0	1	73	479	962
წლიური ზრდა	-47%	-71%	-85%	-73%	92%	106%	134%	493%	-41%	-100%	-78%	597%	-32%	146%
ექსპორტი	0	0	0	0	1	0	0	0	200	230	222	32	559	685
წლიური ზრდა	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	5%	9%	71%	16%	-15%	0.23
წმინდა ექსპორტი	(24)	(17)	(13)	(33)	(178)	(250)	(311)	(146)	199	230	221	(41)	80	(278)
ტრანზიტი	101	131	131	134	10	16	4	5	4	-	-	93	850	132
წლიური ზრდა	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	-49%	-84%	-90%	N/A	N/A	N/A	-33%	N/A	-63%

წყარო: ესკო



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის გირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიანაიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კრძოლი, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნება, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარი რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის მიერ კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კუთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია მხოლოდ მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტ ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამოწერებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდლით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

საინვესტიციო კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ნინო პაპავა | n.papava@gt.ge

ეკონომისტი
ევა ბოჭორიშვილი | evabochorishvili@gt.ge

ეკონომისტი
ლამა ქვთარაძე | lashakavtaradze@gt.ge

ანალიტიკური განყოფილების უფროსი
გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
მარიამ ჩახვაშვილი | mchakhvashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
ბაჩანა შენგელია | bshengelia@gt.ge

ანალიტიკოსი
კახაბერ სამყურაშვილი | ksamkurashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
იოსებ ქუმსიშვილი | ikumsishvili@gt.ge

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102,
საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: research@gt.ge